გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 854

უშიშროების საბჭო,
ეყრდნობა რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 843 (1993) რეზოლუციას, რომელშიც საბჭოსათვის ცეცხლის შეწყვეტის განხორციელების შემდეგ მოტოვებულია სამხედრო მეთვალყურეთა განლაგების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,
მიესალმება რა 1993 წლის 27 ივლისს შეთანხმების ხელმოწერას, რომელმაც დაადგინა აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, ცეცხლის შეწყვეტა,

1. ამტკიცებს გენერალური მდივნის წინადადებას, რომელსაც შეიცავს მისი 1993 წლის 4 აგვისტოს (S/26254) წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაეროს 10-მდე სამხედრო მეთვალყურის მოწინავე ჯგუფის უსწრაფესი გაგზავნის თაობაზე, რათა დაეხმაროს ცეცხლის შეწყვეტის დაცვის შემოწმებაში, როგორც ეს დადგენილია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით, 3 თვის ვადაში ჯგუფისათვის მანდატის ამოწურვით და ითვალისწინებს, რომ მოწინავე ჯგუფი ჩართული იქნება გაეროს მეთვალყურეთა მისიის შემადგენლობაში, თუკი საბჭო ოფიციალურად შექმნის ასეთ მისიას.

2. ელოდება გენერალური მდივნის მიერ მოხსენების წარდგენას შემოთავაზებული მეთვალყურეთა მისიის დაწესების შესახებ, კერძოდ, ამ ოპერაციის მასშტაბებისა და ღირებულების, მისი განხორციელების ვადებისა და ოპერაციის დასრულების სავარაუდო თარიღის დეტალური აღნიშვნის ჩათვლით.

3. იღებს გადაწყვეტილებას კვლავ იმუშაოს ამ საკითხზე.

6 აგვისტო, 1993